

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“
სხდომის ოქმი №1

ქ.ლანჩხუთი

24.01.2019 წელი

15:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება- მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე. ფრაქციის წევრები: ემზარ თევდორაძე, ოთარ პატიეშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ზ. წულაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ზ. წულაძე/

3. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ფრაქციის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ ისაუბრა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“.

ფრაქციის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს: მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: ფრაქციის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ ისაუბრა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, მედიკამენტების დახმარების პროგრამით სარგებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარს, რომელსაც სარეიტინგო ქულა 65 000- 150 000 აქვს, არ უნდა საჭიროებდეს კომისიური წესით განხილვას.

რაც შეეხება სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ბენეფიციარი, რომელსაც სარეიტინგო ქულა არ აქვს მინიჭებული გადაუდებელი ოპერაციის შემთხვევაში, მერის თანხმობით ფინანსდება 400 ლარით. ფრაქციის მოსაზრებით, აღნიშნული მერის თანხმობას არ უნდა საჭიროებდეს.

თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.


პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

3. სხვადასხვა:

სხვადასხვაში ფრაქციის წევრებმა დასვეს შემდეგი საკითხები: აუცილებლად მოსაწესრიგებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარე ტერიტორია. ემზარ თევდორაძის განცხადებით დროულად მოსაწესრიგებელია სამუშაო ოთახები, რადგან მუშაობა გაუსაძლისია.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.




ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“
თავმჯდომარე:



ზაზა წულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24 იანვარი 2019 წელი
15:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	14 45	
2	ოთარ პატიეშვილი	14 50	
3	ემზარ თევდორაძე	14 50	
4			